ახალი განცხადება

30.06.2020

№24 (898) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

სექტემბრიდან ბაზეთი ბეჭდური სახით
დაუბრუნდება მკითხველს, მანამდე თვალი
ადევნეთ ჩვენს ვებგვერდს

akhaliganatleba.ge

#შევხვდებითსექტემბერში

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

რატომ გადავადდა პრაქტიკოს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები – ბერიკა შუკაკიძე კარიერული წინსვლის დეტალებზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში სიახლეა. სხვა ცვლილებებთან ერთად შევიტყვეთ, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ზაფხულში დაგეგმილი გამოცდები გადაიდო. რა არის სახეცვლილი სქემის მთავარი მიზანი და როგორ შეძლებენ მასწავლებლები კარიერულ წინსვლას მასწავლებლის რეგულირების წესის დამტკიცებამდე, მათ შორის სპეციალური მასწავლებლები, რომლებსაც წლების ლოდინის შემდეგ, პირველად მიეცათ სტატუსიც და პროფესიული განვითარების შანსიც - გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი ბერიკა შუკაკიძე.

ბატონო ბერიკა, რატომ შეიცვალა გამოცდის დრო და რატომ შემოდგომაზე?

➡ პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ ამ ცვლილებით უქმდება კრედიტქულების დაგროვების სისტემა და, მის ნაცვლად, დიდი ყურადღება ეთმობა, უფრო სწორად, სავალდებულო ხდება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლა დაადგენს მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს და განსაზღვრავს მათი პროფესიული ზრდისთვის საჭირო კონკრეტულ ტრენინგებს საათების მიხედვით. თუმცა, როგორც გითხარით, ეს არ აისახება კრედიტებში. მაგალითისთვის, უფროსი მასწავლებელი გაივლის 30-საათიან ტრენინგს, წამყვანი 12-საათიანს და მენტორი 5-საათიანს. განისაზღვრება სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა მათი სტატუსის შესაცვლელად. რაც შეეხება პრაქტიკოს მასწავლებლებს, მათ კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი, შემოდგომაზე გავიდნენ გამოცდაზე.

ეს შანსი ხომ ისედაც ჰქონდათ ზაფხულში, რატომ გადავადდა შემოდგომამდე?

➡ შემოდგომაზე იმიტომ, რომ კიდევ მეტი დრო ჰქონდეთ გამოცდისთვის სათანადოდ მოსამზადებლად. მოგეხსენებათ, როგორი რთული და გაურკვეველი პერიოდი გაიარეს მასწავლებლებმა პანდემიის პირობებში. გადავავადეთ, რადგან რეფორმა მასწავლებელზე უნდა იყოს ორიენტირებული და მას ყველა პირობა უნდა ჰქონდეს წინსვლისთვის, არ უნდა დარჩეს უკმაყოფილო იმით, რომ მომზადება ვერ მოასწრო და ა. შ. აქედან გამომდინარე, ახლა მათ მეტი დრო ექნებათ იმისთვის, რომ უკეთესად შეძლონ კომპეტენციის დადასტურება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას ვერც შემოდგომაზე ჩააბარებენ, 2020-21 სასწავლო წელს მაინც არაფერი ემუქრებათ - სასწავლო წელს ჩვეულებრივ დაასრულებენ. შემდეგი სასწავლო წლიდან კი, სკოლა მათ ადგილებზე ვაკანსიას გამოაცხადებს.

აქვე გეტყვით, რომ იმ მასწავლებლებზეც ვიზრუნეთ, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ გამოცდები, მაგრამ არ აქვთ დაგროვებული 19 კრედიტქულა (აკლდებათ 1-დან 5 კრედიტამდე). მათ მიეცემათ შესაძლებლობა, რომ ეს დანაკლისი იმ ტრენინგების ხარჯზე შეავსონ, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ, ცხადია, უფასოდ.

ტრენინგები ზაფხულში გამოცხადდება?

➡ დიახ, დაახლოებით, ერთ კვირაში დავიწყებთ ტრენინგებს და შესაძლოა, სექტემბერში მათ სატატუსი აიმაღლონ. ასეთი 1000-მდე პრაქტიკოსი მასწავლებელია.

პრაქტიკოსებისგან განსხვავებით, ზაფხულში გამოცდა 12 000 დარეგისტრირებულ მასწავლებლობის მსურველს ჩაუტარდება. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?

➡ დიახ, წელს ზაფხულში მივეცით შანსი იმ ადამიანებს, ვინც მასწავლებლის პროფესიით დაინტერსდნენ, ასევე, იმ ადამიანებს, რომლებსაც 60-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა სურთ. მოგეხსენებათ, 60-კრედიტიან პროგრამაზე მსურველებს მხოლოდ მას შემდეგ შეეძლებათ სწავლა, რაც გამოცდას ჩააბარებენ. ლოგიკურად, თუ ახლა არ ჩააბარა გამოცდა, მაშინ სექტემბერში უნივერსიტეტში როგორ ისწავლის?! ამიტომ მათაც შევუწყვეთ ხელი. გვინდა, ყველას, ვისაც მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლის სურვილი აქვს, ხელი შევუწყოთ - შანსი მივცეთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც სქემაში აისახა, სპეციალური მასწავლებლებისთვის პრაქტიკოსის სტატუსის მინიჭებაა, წლების ლოდინის შემდეგ, ისინი პროფესიული განვითარების სქემაში ჩაერთვებიან.

➡ ეს მართლაც მნიშვნელოვანია, როგორც იქნა, დასრულდა გაუთავებელი ლოდინი. სხვათა შორის, სპეცმასწავლებლის სქემის დამტკიცება ქალბატონი ეკა დგებუაძის და სალომე ჩარკვიანის დიდი დამსახურებაა. ასევე, საკმაოდ მაღალი იყო არასამთავრობო სექტორის ჩართულობაც ამ პროცესებში. მივაღწიეთ ურთიერთშეთანხმებას. ჩემი აზრით, დიდი უსამართლობა იყო, რომ აქამდე სპეცმასწავლებლები არ იყვნენ სქემაში ჩართული, დანარჩენი მასწავლებლებისგან განსხვავებით. მასწავლებელი მასწავლებელია! მე თუ მკითხავთ, პირიქით, უფრო მეტი თუ არა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სპეციალურ მასწავლებელს, მით უფრო იმ ფონზე, როცა ასე კატასტროფულად იზრდება სსსმ მოსწავლეების პოპულაცია. ამ დროს, ამ მასწავლებლებს სტატუსიც კი არ ჰქონდათ, არათუ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. სწორედ ამის გამო, სპეციალური მასწავლებლები პროფესიას ტოვებენ. საინტერესოა, ხვალ ან ზეგ, ვინ უნდა მოგვეყვანა ამ პროფესიაში ან საიდან უნდა მოვიყვანოთ ამდენი სპეციალური მასწავლებელი?

როდის შეძლებენ ისინი კარიერულ წინსვლას?

➡ ჩვეულებრივ ჩაერთვებიან როგორც დანარჩენი მასწავლებლები. მთავარი იყო მათთვის სტატუსის მინიჭება, ახლა უკვე ჩაერთვებიან კარიერულ წინსვლაში. ეთნიკური უმცირესობებისთვის კი, ეს პროცესი გადავადდა 2022- 2023 სასწავლო წლისთვის, რაც ბუნებრივია, არ ვიქნებით მართლები, ტერნინგების გავლისა და ტესტების მომზადების გარეშე რომ ჩავრთოთ პროცესში, ამიტომ, ჯერ ამ ყველაფრით უნდა უზრუნველვყოთ. ვინც არ გადაგვიმზადებია, როგორ გამოვცდით?

უფროსი მასწავლებლისთვის გადავადდა გარე დაკვირვების კომპონენტი, როდის შეძლებენ ისინი გარე დაკვირვების გავლას?

➡ სქემაში განაწილებულ უფროს მასწავლებლებს, რომლებმაც 2020 წლის 31 იანვრისთის მიიღეს 15 კრედიტქულა და შესრულებული აქვთ ორი სავალდებულო აქტივობა, გარე დაკვირვების გარდა, 2020 წლის სექტემბრიდან მიეცემათ უფლება, გაიარონ გარე დაკვირვება. წარმატებით გავლის შემთხვევაში, თავისთავად, მათ წამყვანის სტატუსი მიენიჭებათ. ასევე, წამყვანი მასწავლებლები, რომლებსაც 2020 წლის 31 იანვრისთვის მიღებული აქვთ 25 კრედიტქულა და განხორციელებული აქვთ ყველა სავალდებულო აქტივობა, ელექტრონული პროფესიული საქაღალდის მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, მენტორის სტატუსი მიენიჭებათ.

რაც შეეხება სამომავლოდ, მასწავლებლის რეგულირების წესის მიხედვით, მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას, აქ უკვე საჭირო იქნება შესაბამისი გამოცდის ჩაბარება პროფესიულ უნარებში, რომელიც ჯერ მზად არ არის.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ცვლილებები სქემაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ცვლილებები შევიდა

სამინისტროს გადაწყვეტილებით, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ცვლილებები და სიახლეები შევიდა. ცვლილებების შესაბამისად, პრაქტიკოსი მასწავლებლების გამოცდები გადავადდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შემოდგომაზე ჩაატარებს.

სქემაში შესული ცვლილებების თანახმად:

✓ 2020 წელს, პირველად, სპეციალური მასწავლებლები პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ნაწილი გახდნენ და მათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ;

✓ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარეგისტრირდნენ მასწავლებლის გამოცდაზე, გადაუვადდათ გამოცდა და საშუალება მიეცათ, 2020 წლის შემოდგომაზე ჩააბარონ შესაბამისი საგანი ან/და პროფესიული უნარები;

✓ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია და სტატუსის ასამაღლებლად დარჩენილი აქვთ 1-5 კრედიტქულა, უფლება ექნებათ, გაიარონ ტრენინგ-მოდული საგნობრივი ან/და პროფესიული უნარების მიმართულებით და დააგროვონ დარჩენილი 1-5 კრედიტ-ქულა 19 კრედიტქულამდე შევსების მიზნით;

✓ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის შემოდგომაზე საგნის ან/და პროფესიული უნარების გამოცდაზე ვერ აიმაღლებენ სტატუსს, სკოლის ადმინისტრაცია, 2020-2021 სასწავლო წლის ბოლომდე, გაუხანგრძლივებს შრომით ხელშეკრულებას;

✓ მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველთა ხელშეწყობის მიზნით, **სამინისტრომ შესაძლებლობა მისცა 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით** დარეგისტრირებულ მაძიებელ მასწავლებლებსა და სისტემაში შემოსვლის მსურველებს, 2020 წლის ზაფხულში ჩააბარონ გამოცდა, რომელიც 22 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით ჩატარდება;

✓ გამომცდელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დაცული იქნება ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. ტესტირება ერთ სესიად, დღის პირველ ნახევარში, ჩატარდება;

✓ საგამოცდო ცენტრები შემდეგ ქალაქებში გაიხსნება: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი;

✓ ყველა საგამოცდო ცენტრში იქნება სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. ცენტრების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იქნება სასწრაფო დახმარების მანქანა, სამაშველო სამსახური და საპატრულო პოლიცია. 2020 წელს საგამოცდო პროცესში 12 000-მდე მასწავლებლობის მსურველი ჩაერთვება.

გამომცემლობა ინჯელექჯი

ახალი სახელმძღვანელოები

- შეესაბამება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას; ხელს შეუწყობს თვალსაწიერის გაფართოებას; დაეხმარება მოსწავლეს ხელოვნების სხვადასხვა დარგში გათვითცნობიერებაში;
- დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობა-მონაცემების ამოცნობასა და განვითარებაში;
- დაეხმარება მშობელს, რათა ჩაერთოს შვილის საგანმანათლებლო საქმიანობაში;

მოსწავლის წიგნი ▪ მასწავლებლის წიგნი

VIII კლასის მათემატიკის გრიფირებული სახელმძღვანელო **გურამ გოგიშვილის, თეიმურაზ ვეფხვაძის, ია მეგზონიას, ლამარა ქურჩიშვილის** ავტორობით.

- მეთოდურად გამართული, მოსწავლეთათვის მისაწვდომი ახალი, მრავალფეროვანი, საინტერესო მასალა; კომპლექსური საპროექტო დავალებები; დამატებითი და შემაჯამებელი ამოცანები;
- აღმოაჩენთ ყველაფერს, რაც მოსწავლეთა მაღალი მათემატიკური განათლებისა და მიღებული ცოდნის გამოყენების უნარების განვითარებისთვისაა აუცილებელი.

https://bit.ly/2APjjJ2

მოსწავლის წიგნი ▪ მასწავლებლის წიგნი

გიორგი გედენიძის და **ეთერ ლაზარაშვილის** ავტორობით გრიფირებული სახელმძღვანელო ფიზიკაში.



- საბაზო საფეხურზე საგან „ფიზიკაში“ შეისწავლება მექანიკის, ელექტრული, მაგნიტური, ოპტიკური და სითბური მოვლენების ძირითადი პრინციპები.
- საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

https://bit.ly/2NfksvQ

მოსწავლის წიგნი ▪ მასწავლებლის წიგნი ▪ მოსასმენი მასალა

VIII კლასელებსა და მათი მასწავლებლებისთვის **მარიკა ჩიკვაიძის** ახალი, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო მუსიკაში!



- სახელმძღვანელო გამიზნულია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მეცადინეობისათვის;
- სახელმძღვანელო ითვალისწინებს როგორც კლასში, ისე შინ მეცადინეობას.

https://bit.ly/2YWu7Nf

მოსწავლის წიგნი ▪ მასწავლებლის წიგნი ▪ მოსწავლის რვეული ▪ მოსასმენი მასალა

V-VI კლასები გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები აზერბაიჯანული, რუსული და სომხური სკოლებისათვის! ავტორები:
ეთერ მესტვირიშვილი და **მაია ოღრაპიშვილი**.

- სახელმძღვანელოში მოცემული ზღაპრებით/მოთხრობებით მოსწავლეები ისწავლიან თანამშრომლობას, კომპრომისს, ემოციების შეფასებას;
- სახელმძღვანელოში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს აქტიურ სწავლას (სწავლა თამაშით, აღმოჩენით, თანამშრომლობით, კვლევით, პრობლემის გადაჭრით და ა. შ.) და ლოგიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი სააზროვნო უნარების განვითარებას;
- ტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ მოსწავლე შეძლებს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაციის ათვისებას, შეიძენს როგორც სამეტყველო, ისე სასიცოცხლო უნარ-ჩვევებს.

https://bit.ly/3eB6iRC https://bit.ly/3hTMRWe

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

ათი საუკეთესო მასწავლებელი

წლევანდელი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეული გამორჩეული ფორმატით გამოცხადდა ისევე, როგორც დაიწყო – კონკურსის ათი საუკეთესო მასწავლებელი სკოლის ლიდერობის კონკურსის ფინალისტებმა – გამორჩეულმა ლიდერებმა დაასახელეს. განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე ირინა ხანთაძე ამბობს, რომ შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად, ეცადნენ, მაქსიმალურად მწყობრად ჩაეტარებინათ საკონკურსო შერჩევა, არ დაერღვიათ დრო და ფორმატი. „ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ამ ურთულესმა პერიოდმა, უმეტესწილად, სწორედ მასწავლებლების ზურგზე გადაიარა. მათ ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდათ ამ თვეების განმავლობაში. ამიტომ, ვალდებულები ვართ, მაქსიმალურად გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ არც კონკურსს და არც მის მონაწილეებს არაფერი დავაკლოთ. პირიქით, სასურველია, უფრო საინტერესო გავხადოთ წლევანდელი წელი მასწავლებლებისთვის.“

რაც შეხება წლევანდელ ათეულს, ირინა ხანთაძე ხაზს უსვამს იმას, რომ ძალიან საინტერესო შემადგენლობაა, მრავალფეროვნებაა როგორც გეოგრაფიული, ისე საგნობრივი თვალსაზრისით, თუმცა, მისივე თქმით, ეს თავისთავად მოხდა, მიზანმიმართულად არ გაკეთებულა. „ნელ-ნელა საზოგადოებას გავაცნობთ წლევანდელი ათეულის მასწავლებლებს და დაინახავთ, რაოდენ საინტერესო პიროვნებები არიან და ვფიქრობ, ათეულთა კლუბსაც ძალიან ძვირფასი შენაძენი ექნება მათი სახით“ – აცხადებს ირინა ხანთაძე.

საუკეთესო ხუთეულის ვინაობა, კონკურსის შემდგომ ეტაპებზე, 5 სექტემბერს გახდება ცნობილი, ხოლო ტრადიციული დაჯილდოების ცერემონიალი 5 ოქტომბერს იგეგმება.

ციცინო გოგაძე

წალკის მუნიციპალიტეტის, სოფელ გუმბათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულში მოხვედრა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, არ ველოდი, რადგან არ ვთვლი, რომ რამე განსაკუთრებულს ვაკეთებ. როდესაც ჩემი სახელი და გვარი გავიგონე, ემოციისგან გავშრი, არ დავიჯერე და როცა დასრულდა გამოცხადება, გადავახვიე, ვნახე, ნამდვილად მე ვიყავი თუ არა, ეს იყო უდიდესი ბედნიერება! კონკურსში მონაწილეობა ჩემი კოლეგებისა და შვილების რჩევით მივიღე. მინდა, ყველა მასწავლებელს ვუთხრა, რომ თუ უყვართ თავიანთი პროფესია და საქმე, აუცილებლად შეავსონ განაცხადი, რადგან ეს არის პროექტი, რომელიც არა მარტო კონკრეტული მასწავლებლის, არამედ, პირველ რიგში, მოსწავლეების, სკოლის, კოლეგების სტიმულია, ამიტომ უნდა სცადონ ბედი. ჩემი პირველი გამარჯვება იყო პროექტში „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა.

მასწავლებლისთვის მთავარია, არ გაჩერდეს, იყოს შრომისმოყვარე, შეძლოს მოსწავლის თვალით შეხედოს სამყაროს.

მადლობა მინდა ვუთხრა მასწავლებლის სახლს და ჟიურის წევრებს ნდობისათვის. ამ კონკურსმა დამანახა, რომ შრომა არ დარჩება დაფასებისა და აღიარების გარეშე, აღიარებამ კი მეტი პასუხისმგებლობა დამაკისრა არა მარტო ჩემი სკოლისა და მოსწავლეების, არამედ მთელი ქართული განათლების სისტემის, საზოგადოების წინაშე. ახლა გაცილებით მეტი უნდა გავაკეთო. ვხედავ, ფინალისტი მასწავლებლები როგორი აქტიურები არიან, ვეცდები, მეც ღირსეულად დავიმკვიდრო ადგილი მათ შორის.

ელზა ხარშილაძე

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯაროს სკოლის ფიზიკის მასწავლებელი

ეს იყო ზღვა ემოცია, რომელმაც ცრემლების გარეშე ვერ ჩაიარა, ვერც ჩემს ოჯახში და ვერც სამეგობრო წრეში. შეუძლებელია იმ ბედნიერების გადმოცემა, რასაც განვიცდიდი. მოულოდნელობა, სიხარული. ვაღიარებ, არ ველოდი. კიდევ უფრო ძლიერი იყო ეს ემოცია, რადგან მე წარმადგინა ჩემმა გამზრდელმა მასწავლებელმა, ჩემმა კოლეგამ და ჩემმა ხელმძღვანელმა. მადლობა ორგანიზატორებს იმისთვის, რომ სწორედ ინა ბიწაძემ წარმადგინა საზოგადოების წინაშე. ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. სწორედ მან დამარწმუნა, რომ უნდა მიმეღო მონაწილეობა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი მასწავლებელია, ეს ადამიანები თავდახრილები შრომობენ და აკეთებენ თავიანთ საქმეს უხმაუროდ. მათ გვერდით საჭიროა ადამიანი, ვინც უბიძგებს, რომ გამოშალონ და გამოააშკარაონ საკუთარი შესაძლებლობები. ასეთია „ჩემი“ დირექტორი. ის მართლაც რომ საუკეთესო ლიდერია.

ეროვნული ჯილდოს კონკურსი მასწავლებლისთვის მისი შრომის დაფასებაა, პროფესიის აღიარება. მეტი რა გაახარებს ადამიანის გულს, ვიდრე მისი შრომის დაფასებაა. მოტივაციას გვიქმნის მასწავლებლებს. ეს ნაბიჯი უკვე დიდი გამარჯვებაა ჩემთვის. ერთგვარად დეტექტორის ფუნქცია შეიძინა ათეულში მოხვედრამ, ანუ სწორი გზით მივდივარ ჩემს პროფესიაში, სწორად ვვითარდები ჩემს მოსწავლეებთან ერთად. ათეულის წევრობა ეს უკვე უდიდესი პასუხისმგებლობაა საზოგადოების წინაშე. ამ მიღწევას მოფრთხილება სჭირდება. აუცილებლად გაზრდის პასუხისმგებლობას პროფესიისადმი, უფრო მეტი მომეთხოვება, ვიდრე აქამდე. მე უკვე ვირწმუე სკუთარი თავის, უფრო მეტი სითამამით მოვკიდებ ხელს ახალ იდეებს და პროექტებს.

მე, ამ კონკურსის ფარგლებში, დავინახე შანსი, ამესრულებინა ჩემი უდიდესი სურვილი – მოვიპოვო ჩემი სკოლისთვის დამოუკიდებელი ენერგოსადგური. ჩვენი მაღალმთიანი სოფლისთვის ეს ძალიან დიდ შესაძლებლობებს გადაგვიშლის.

ბავშვობიდან ასე ვფიქრობდი და აზრი არ შემცვლია, რომ მასწავლებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესია პროფესიათა შორის. მასწავლებლის ხელშია არა მხოლოდ საკუთარი მომავალი, არამედ მომავალი თაობის აღზრდა-განათლება. როდესაც კლასში ახალგაზრდებს ვუყურებ, ჩვენი ქვეყნის მომავალს ვხედავ. ისინი არიან ის ადამიანები, ვინც ხვალ ქვეყნის სათავეში მოვლენ. როგორ შეიძლება მათ მოაკლო ყურადღება, როგორ შეიძლება მათთან დრო უქმად გაფლანგო. ჩვენ მათ უნდა გავატანოთ სიყვარული, ჩავუნერგოთ ფასეულობები, მოვამზადოთ დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის. მათ უნდა შეძლონ ჩვენი ქვეყნის მომავალის სიყვარულით შენება, ეს ჩვენზე დიდად არის დამოკიდებული.

ივანე დიდეგელი

ორბეთის საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „ახალი თაობის“ ინგლისური ენის მასწავლებელი

ჩემი, როგორც მასწავლებლის, დებიუტი შედგა 2012-ში. რვაწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის/გამოცდილების ფონზე, თამამად ვამბობ, რომ არასოდეს მქონია ამბიცია, ვყოფილიყავი საუკეთესო ჩემს კოლეგებთან მიმართებაში. უბრალოდ, ვფიქრობ, ჩემს საქმეს ღირსეულად ვემსახურები და მთავარიც სწორედ ესაა. მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი, მიმაჩნია, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების მიღებით წინ და სწორ გზაზე მივდივარ.

ბევრ განსხვავებულ სფეროში მიღებული სამუშაო გამოცდილების შედარება მასწავლებლის პროფესიასთან მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით რთული და, ამავდროულად, საინტერესოა. საინტერესოსთან ერთად, სახალისოც, რადგან, როდესაც თავს აღმოაჩენ იქ, სადაც ყველაზე მეტად გსიამოვნებს და გიხარია, ნამდვილად იქნები ბედნიერი. ბედნიერება კი წარმატების საწინდარია.

ათი წლის წინ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ სფეროსთან რაიმე შეხება მექნებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ასობით მოსწავლის მასწავლებელი გავხდებოდი და მათ გულწრფელ სიყვარულს მოვიპოვებდი. ახლა რომ მკითხონ, თუ სად ვხედავ ჩემს თავს მომავალი ათი წლის განმავლობაში, ზუსტი პასუხი, ალბათ, არ მექნება, თუმცა, ვიცი, რომ იმ საქმის გარეშე, რომელსაც ახლა ვემსახურები, ძალიან გამიჭირდებოდა არსებობა.

საზოგადოებრივი აღიარების მოპოვება არც თუ ისე ადვილია და განსაკუთრებით მაშინ წარმოადგენს დიდ სირთულეს, თუ მასწავლებელი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) თავის პროფესიაში არც თუ ისე წარმატებულია.

პროექტში ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, საკუთარ თავთან და მოსწავლეებთან, კიდევ ერთხელ დავადასტურებ, რომ კონკრეტული საქმის სიყვარულით კეთება და პატიოსანი შრომა ყოველთვის ადეკვატურად ფასდება. ეს, გარკვეულწილად, გულისხმობს პროფესიის პოპულარიზაციას იმ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც ახლახან აიღეს თავზე (ან ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება) ეს უდიდესი პასუხისმგებლობა.

ნათელა დავითაია

სენაკის მუნიციპალიტეტის, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი

ეროვნული ჯილდოს კონკურსზე დირექტორმა წარმადგინა, რამაც ჩემი პროტესტი გამოიწვია, რადგან ვთვლიდი, რომ ჯერ არ ვიყავი მზად ამისთვის. თუმცა, ამ ნდობას ზურგს ვერ ვაქცევდი და აპლიკაციაც შევავსე. ყოველი ეტაპის გადალახვას გამარჯვებად ვთვლიდი, ხოლო ათეულის წევრობა მაინც წარმოუდგენელი მიმაჩნდა. ამიტომ, სრული სიმშვიდით ვადევნებდი თვალს გადაცემას, ჩემს მეგობრებთან ერთად. ჩემი გვარის გაგონება დაუჯერებელი იყო, ემოცია მქონდა ენით გამოუთქმელი – გაურკვევლობა, სიხარული, მოულოდნელობა და ოდნავ შიშიც კი, რადგან ვთვლი, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ეროვნული ჯილდოს კონკურსი მასწავლებლისთვის არის პროექტი, რომელიც თითოეულ მასწავლებელს უჩენს სტიმულს, გახდეს ბევრად უკეთესი. მიზნად ისახავს პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის ზრდას, წარმატებული მასწავლებლების გამოვლენასა და საზოგადოებისათვის მათ წარდგენას. მე მიყვარს ჩემი პროფესია და ვფიქრობ, ჩემთვის ეროვნული ჯილდო თვითრეალიზაციის სტიმულატორი იქნება. ჩავთვლი, რომ ჩემი მეთოდები და მიდგომები სწავლა/სწავლებაში ეფექტურია და დაფასდა.

როდესაც გადაწყვეტ მასწავლებლობას, უნდა გააცნობიერო, რომ საქმე გაქვს ბავშვებთან, პატარა ადამიანებთან, რომელთაც ძალიან ბევრი რამ აქვთ სასწავლი, ასათვისებელი, შესაცნობი და როგორც მასწავლებელს, არ გაქვს შეცდომის დაშვების უფლება. ამიტომ, ვფიქრობ, მხოლოდ პროფესიონალიზმი, საგნის ბრწყინვალედ ცოდნა საკმარისი არ არის გახდე ის, ვისაც უპირობოდ ენდობა მოსწავლე.

მასწავლებელს სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს მოზარდებ-

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

თან ურთიერთობა, მათთან ერთად სირთულეების გადალახვა, ზრუნვა ერთმანეთზე. ბევრად უფრო სასიამოვნო იქნება ამ ურთიერთობების შედეგი. მოსწავლეებში აღმოჩენილი „ნაკლოვანებები“, მათი პრობლემების გათავისება და ერთად, სიყვარულით ბრძოლა ამის წინააღმდეგ.

ამ პროფესიის ხიბლიც სწორედ ამაშია. მასწავლებლისთვის მთავარია ნდობა მოსწავლეების მხრიდან, რომელსაც თავისთავად ახლავს სიყვარული და პატივისცემა. ასეთ შემთხვევაში, შედეგიც სახეზეა.

სალომე გოჩოლეიშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო-არქევანის საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი

თავიდან ერთი ჩვეულებრივი, ყოველდღიური საზრუნავით სავსე დღე იყო. აფთიაქის, ბანკისა და მარკეტების რიგებში მყოფს სულ მეფიქრებოდა კონკურსის შედეგებზე. როდესაც პირდაპირ ეთერში, გამარჯვებულთა შორის, ჩემი სახელი გამოაცხადეს, სიხარულისგან თვალები ცრემლით ამევსო. მაშინ გავიაზრე სრულად, რას გულისხმობდა ფრაზა – „სიხარულისგან ფრთები შემესხა“. ენერგიისა და მოტივაციის მოზღვავება ვიგრძენი. გარშემო ყველაფერი გაფერადდა და გახალისდა. პირველ რიგში, მასწავლებლის პროფესიის დაფასებაა. აღნიშნულ კონკურსს უდიდესი წვლილი შეაქვს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის საქმეში. თითოეული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მისი პროფესიის პრესტიჟულობა და საზოგადოებრივი აღიარება. ასევე, ამ მართლაც პრესტიჟული კონკურსის ფარგლებში, საუკეთესო მასწავლებელთა გუნდის გამოვლენა პროფესიული სტანდარტის მაღალ თამასას დააწესებს, რაც სასიკეთოდ წაადგება, ქვეყნის მასშტაბით, მასწავლებლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო-არქევანს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რაიონული და საგანმანათლებლო ცენტრიდან მოშორებით. სოფელში არ დადის მუნიციპალური ტრანსპორტი. სოფლის მოსახლეობა არ გამოირჩევა ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობით. შესაბამისად, ქვემო-არქევანში მცხოვრები ჩემი მოსწავლეებისთვის შეზღუდულია გარე სამყაროსთან ურთიერთობების შესაძლებლობები. ათეულის კლუბის წევრობა მომიტანს აღიარებას და დამაკავშირებს, ქვეყნის მასშტაბით, საუკეთესო მასწავლებლების გუნდთან. ამგვარად, გაიზრდება შესაძლებლობები, მოვიწვიოთ სტუმრები, განვახორციელოთ ახალი პროექტები. ერთი სიტყვით, მომეცემა საშუალება, ახალი ფერები შევიტანო არქევანელი ბავშვების ერთფეროვან, რუტინულ დღეებში.

სოფიო გოგოხია

აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

5 ივნისს 13 საათზე რომ უნდა გამოცხადებულიყო ათეულში გასულთა სახელები, „იმედის“ ტელეეთერით, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით. 2019-2020 სასწავლო წელს მე-7 კლასის დამრიგებელი ვიყავი, უკვე მერვეკლასელები არიან, სწორედ მათთან ერთად ვიყავი მდინარე ხობისწყლის ნაპირზე და ერთად მოვუსმინეთ, როგორ გამოაცხადა ქალბატონმა მარინა ისკაკოვამ, რომ სსიპ აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლის კიდევ ერთი მასწავლებელია ათეულში. ორმაგად ბედნიერი ვიყავი, რომ დამასახელეს და მოსწავლეებს რომ ასე უხაროდათ. მათი ეს სიხარული უკვე არის ჩემთვის დიდი ჯილდო.

წლის საუკეთესოთა ათეულში მოხვედრა დიდი პატივია, მოტივაციაა მუშაობის მეტი ხალისითა და ენთუზიაზმით გასაგრძელებლად. ჩვენს სკოლას აქვს დიდი პრობლემა, არ გვაქვს საკუთარი შენობა, კერძო საკუთრებაში არსებულ საბავშვო ბაღის ძველ შენობაში ვართ შეკედლებულები და მინდა, ამის შეცვლაში მივიღო აქტიური მონაწილეობა. სკოლაში, წლებია, გვაქვს კინოკლუბი „დუბლი“ , რომელიც საკმაოდ აქტიურად მუშაობს და გვინდა, ვიბრძოლოთ მუნიციპალური კინოდარბაზისათვის, რომელიც იქნება თავისუფალი სივრცე, ჩატარდება კინოჩვენებები, გაიმართება სხვადასხვა სახის შეკრებები. ბევრი რამ გვჭირდება მუნიციპალიტეტში და მინდა, მეც შევიტანო წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ პასუხისმგებლობას ზრდის მასწავლებელთა ათეულში მოხვედრა.

თეონა შერაზადიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის და სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სკოლაში ვიყავი, როცა შევიტყვე, რომ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულში მოვხვდი. სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებული რუტინული საქმით ვიყავი დაკავებული. ვიცოდი, ათეული უნდა დაესახელებინათ და გადავწყვიტე, მღელვარების დასაძლევად, ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა. ის იყო, სრული კონცენტრაცია მოვახერხე და ტელეფონის ზარიც გაისმა, მეგობარმა დამირეკა... უდიდესი სიხარული იყო, ემოციის შეკავება – წარმოუდგენელი. მოდიოდნენ კოლეგები, მილოცავდნენ, სოციალური დისტანციის დაცვა არ გაგვხსენებია...

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსმა ჩვენს პროფესიას თითქოს ახალი სიცოცხლე აჩუქა, გაცილებით პრესტიჟული და სასურველი გახადა მასწავლებლობა. გარდა ამისა, საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასების საშუალებაც მოგვცა. როცა საკონკურსო აპლიკაციას ვავსებდი, ვფიქრობდი, რომ კონკურსის შეფასების კრიტერიუმები არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია საკუთარი პრაქტიკის გასაანალიზებლად. კონკურსში მონაწილეობა ერთგვარი რეფლექსიაა მასწავლებლისთვის და აჩვენებს, რას აკეთებს კარგად და რა უნდა გააკეთოს შედეგების გასაუმჯობესებლად. ათეულში მოხვედრა უკვე ნიშნავს, რომ სწორი მიმართულებით მიდიხარ და ეს უდიდესი სიხარულია.

რას შეცვლის ეს კონკურსი ჩემს პრაქტიკაში? უპირველესად, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი მოსწავლეების, კოლეგების წინაშე და მიხარია, რომ ეს ახალი გამოწვევა პროფესიულ ზრდაშიც დამეხმარება. ახალი შესაძლებლობები ყოველთვის განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ნებისმიერ პროფესიას და ინტერესსა და მოტივაციას ზრდის.

მარინე ფორჩხიძე

რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

როცა ათეულში ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, ეს იყო დიდი სიხარული და შემდეგ კიდევ უფრო გაზრდილი პასუხისმგებლობა მოსწავლეების, სკოლის, მშობლების, საზოგადოებისა და მთლიანად საქართველოს მიმართ.

ეს ნიშნავს ახალ გზებს, ახალ შესაძლებლობებს, ახალ შანსებს, მეტის შექმნისა და გაზიარების საშუალებას.

ჩემი სწავლების სტილითა დ მეთოდებით შემეძლება, ბევრი რამ სასიკეთოდ შევცვალო განათლებაში, გამოცდილების გაზიარების, ახალი და საინტერესო პროექტების წამოწყების და განხორციელების საშუალება მომეცემა. ამისთვის მჭირდება განხორციელების მეტი არეალი.

მოსწავლეებისთვის უფასო სწავლების კურსს, ყოველგვარი დაფინანსებისა და პრემიის გარეშე იმიტომ, რომ ეს კამპანია გადამდები იყოს სხვა სკოლებისთვის, მასწავლებლებიც შემომიერთდნენ და განათლების ქველმოქმედება გადამდები გახდეს.

ანა კინწურაშვილი

თბილისის კერძო სკოლა „ქორალის“ მათემატიკის მასწავლებელი

ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია საქმიანობის დაფასება და აღიარება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გუნდს ამ კონკურსის ჩატარებისთვის, იმისთვის, რომ მასწავლებლებს შესაძლებლობას გვაძლევენ, გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები. თითოეულ მონაწილეს ვუსურვებ წარმატებებს. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, მივიღე უამრავი მილოცვა ნაცნობებისა თუ უცნობებისგან, კოლეგებისგან, მშობლებისგან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენით აღუწერელია ის სიხარული და სითბო, რომელსაც ჩემი პატარა მეგობრებისგან, ჩემი მოსწავლეებისგან ვგრძობ; ამ კონკურსზე სწორედ ჩემმა მეათეკლასელებმა წარმადგინეს, ეს კი დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათ ეს ნდობა და იმედები არ გავუცრუო.

ჩემი პროფესიული გამოცდილება მხოლოდ 6 წელს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი; ჩემი პროფესია მაძლევს თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებას, ვსწავლობ ჩემი მოსწავლეებისა და კოლეგებისგან, ვასწავლი და ვვითარდები. ვფიქრობ, რომ ამ კონკურსმა კიდევ უფრო გაზარდა ჩემი მოტივაცია. ბედნიერებაა, გავიცნო ჩემი კოლეგები მთელი საქართველოდან, მათი სახით შევიძინო მეგობრები, ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება, ერთად დავგეგმოთ აქტივობები. სტატუსს აუცილებლად გამოვიყენებ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისათვის. ერთ მასწავლებელს აქვს ძალა, თავისი მოსწავლეების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, მისცეს ცოდნა და შთააგონოს, რომ განათლება თავისუფლებაა. ჩემი საქმიანობით სწორედ ამას ვცდილობ.

მარინე ვართუმაშვილი

ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

ათეულში მოხვედრა ძალიან გამიხარდა, გამიხარდა იმიტომ, რომ ჩემთან ერთად ბევრმა ადამიანმა გაიხარა – მოსწავლეებმა, სასკოლო საზოგადოებამ, ოჯახის წვერებმა, ჩემმა რეგიონმა. თავიდან დაძაბული ვუსმენდი, მინდოდა, რომ მეც ვყოფილიყავი ათეულში და გავიხარე.

ეროვნული ჯილდოს კონკურსი მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის, რადგან ხელს უწყობს პროფესიის პოპულარიზაციას, ახალგაზრდა კადრების სკოლაში მოზიდვას. ვფიქრობ, ჩემი კოლეგებისთვისაც სტიმულის მიმცემი იქნება.

ეს კონკურსი ბევრ რამეს შეცვლის ჩემს საქმინობაში, გაზრდის პასუხისმგებლობას იმისას, რომ ამ სტატუსის მატარებელი მასწავლებელი ასმაგად აქტიური გახდეს და მისი მოსწავლეები – კიდევ უფრო წარმატებულები. ასევე აქტიურად უნდა გავუზიარო მიღწევები სასკოლო საზოგადოებას – გავუზიარო გამოცდილება, რაც ჩემი პედაგოგად საქმიანობის განმავლობაში დავაგროვე. ვფიქრობ, ამით სხვასაც მივცემ წარმატებების ბიძგს.

კონკურსში მონაწილეობა ბოლო წუთს გადავწყვიტე, რადგან ჩავთვალე, რომ ვაკმაყოფილებდი იმ კრიტერიუმებს, რასაც კონკურსი ითვალისწინებს. თან მინდოდა, რომ ჩემი სკოლა, ჩემი რეგიონი თავისი აქტიურობით წარმომეჩინა, ყველას გაეგო, რომ შიდა ქართლის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, ბევრ მნიშვნელოვან და წარმატებულ გარემოსდაცვით პროექტებს ახორციელებს და არა მარტო გარემოსდაცვითი მიმართულებით.

მასწავლებლის პროფესიაში მთავარი პროფესიის სიყვარულია, სიყვარულს და სტიმულს კი მოსწავლეები მაძლევენ. თუ გიყვარს შენი საქმე და გიყვარს მოსწავლეები, აუცილებლად წაარმატებული მასწავლებელი იქნები. აუცილებელია მაღალი ინსტიტუციების მხარდაჭერაც, განათლება ხომ ნებისმერი ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს.

მოამზადა **ლალი ჯელაძემ**

სახალხო დამცველის განცხადება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსწავლეებისა და აბიტურიენტების განათლების უფლების დასაცავად

სახალხო დამცველის განცხადება ოკუპირებულ ახალგორში დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების კომიტეტის მიერ აბიტურიენტების დაშინების ფაქტებზე:

✓ 2020 წლის 18 ივნისს მასმედიის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია ოკუპირებულ ახალგორში, დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის მიერ, აბიტურიენტების დაშინების ფაქტებზე. სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები, მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. კვლავ გრძელდება ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევა, სკოლის მოსწავლეებსა თუ პედაგოგებზე ეთნიკური ნიშნით დევნა და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

✓ 2017 წლის შემდეგ, ოკუპირებული ახალგორის ყველა სკოლაში, დაწყებით კლასებში, სრულად აკრძალულია ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო ქართული ენა, როგორც უცხო ენა, მხოლოდ სკოლების ნაწილში ისწავლება. ეს ფაქტი უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეთა ქართული ენის ცოდნაზე, ისე განათლების ხარისხზე. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის შედეგად, ოკუპირებულ ახალგორში, ყოველწლიურად, იკლებს სკოლის მოსწავლეების რაოდენობა. მშობლიურ ენაზე განათლების უფლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი წლეებია თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობს.

✓ ამჟამად ახალგორის რაიონში მოქმედი 7 სკოლიდან მხოლოდ 6 სკოლაში მიმდინარეობს სწავლება ქართულად და ისიც მხოლოდ მე-7 კლასიდან მე-11 კლასამდე. დანარჩენ შემთხვევებში, ქართულ ენას მხოლოდ კვირაში ხუთი საათი ეთმობა. 2019 სასწავლო წელს 4 სკოლას საერთოდ არ ჰყავდა პირველკლასელები.

✓ განათლების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. ის განმტკიცებულია როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულებებში. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ვრცლად საუბრობს განათლების უფლებაზე და მის მიზნებზე, რომლის მიხედვითაც, განათლება მიმართული უნდა იყოს „ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულად განვითარებისკენ“ და „განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას“.

✓ საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განაგრძოს პროაქტიური ქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსწავლეებისა და აბიტურიენტების განათლების უფლების დაცვის მიზნით; გაგრძელდეს, ოკუპირებული ახალგორის სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, მათი საჭიროებების მიხედვით, სანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, ვინაიდან დღეს არსებული მდგომარეობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებს.

✓ ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ამ პროცესში, რათა მუდმივი ყურადღება იყოს მიმართული ოკუპირებულ რეგიონებში განათლების უფლების დაცვაზე. ეს უკანასკნელი კი, შეუძლებელი იქნება ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვითი მისიების მუშაობის აღდგენისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე.

რეგიონი

გვინდა განვვითარდეთ, რათა მეტად ვემსახუროთ სამშობლოს

ქამრან აფანდიევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლაოღლში, რამდენიმე წლის წინ, სადახლოს პირველი საჯარო სკოლის მანდატურის, **არიზ დაშდამიროვის** და ფონდის „ტასო“ ინიციატივით, დაარსდა საინიციატივო ჯგუფი, სათემო ცენტრი „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“. ჯგუფს, მოგვიანებით, არიზ დაშდამიროვის ბავშვობის მეგობარი, მოლაოღლის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ქამრან აფანდიევი** და ამავე სკოლის დამხმარე მასწავლებელი **ნუცა დემეტრაშვილი** შეუერთდნენ. ერთმანეთის თანადგომით გააძლიერეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც, 2018 წლიდან, არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ამჟამად „ახალი აზროვნების ინსტიტუტს“ გახსნილი აქვს ორი საგანმანათლებლო ცენტრი – სოფელ მოლაოღლში (არიზ დაშდამიროვის სახლში) და სოფელ ხულდარაში (ქამრან აფანდიევის სახლის ავტოფარეხში), სადაც ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკების სივრცეში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობა: ტრენინგები დემოკრატიული ჩართულობის თემებზე, კომპიუტერული პროგრამების გაკვეთილები, ფილმების ჩვენება-განხილვა, წიგნის კითხვა, სპექტაკლების დადგმა, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და ლიტერატურული საღამოები. ფუნქციონირებს ქართული, ინგლისური და აზერბაიჯანული ენების შემსწავლელი კურსები, ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები. ორივე ცენტრი აქტიურად ემსახურება სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა სახის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის – „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“, ერთ-ერთი მთავარი მიზანია, სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლები: სადახლო, მოლაოღლი, ხულდარა, თაზაქენდი, ბურმა), სხვადასხვა მეთოდის (კვლევის, პირდაპირი ინტერვიუს, კითხვარების, რუბრიკების, ჯგუფური დისკუსიების, თანამშრომლობითი შეხვედრების) თუ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენებით, ხელი შეუწყოს განათლების ცოდნის დონის ამაღლებას და სახელმწიფო ენის – ქართულის შესწავლას.

არიზ დაშდამიროვი

„ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს მოსახლეობის უმეტესობისთვის ცოდნის დონის ამაღლება სამოქალაქო განათლების მიმართულებით, მნიშვნელოვანი კანონების გაცნობა, რათა უკეთ შეძლონ საკუთარი თავის საზოგადოებაში რეალიზება. ჩვენი მიზანია, სკოლის მოსწავლეების აქტიურად ჩართვა არაფორმალურ განათლებაში; სტუდენტების დახმარება და მათი მონაწილეობის მიღება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში; აბიტურიენტების მომზადება, უნივერსიტეტებისა თუ პროფესიული სასწავლებლებისთვის, თითოეული მათგანის საჭიროების გათვალისწინება და პდახმარება. ორგანიზაცია, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს მშობლების გაძლიერებას, კერძოდ, ქალთა უფლებებს და საჭიროებებს. იმის გათვალისწინებით, რომ თემში ქალების დიდი ნაწილი ნაადრევადა დაოჯახებული, ორგანიზაციას შემუშავებული აქვს განათლების პროგრამები, რომელიც მათ პიროვნულ განვითარებასა და საჯარო საქმიანობას უწყობს ხელს. არაფორმალური განათლებით საგანმანათლებლო ცენტრები ცდილობენ, ქალებს ახალი შესაძლებლობები და მომავლის იმედი შეუქმნან. განათლებული და განათლების პროცესში ჩართული მშობლები კიდევ უფრო გაძლიერდებიან და დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდიან შვილებს. ეს პროცესი კი უნიკალურ სოციალურ კაპიტალს ქმნის“.

აღსანიშნავია, რომ „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“ ზემოთ აღნიშნულ აქტივობებსა და ღონისძიებებს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთოშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახორციელებს – ფონდი ტასო, ღია საზოგადოება საქართველო, „ორბელიანი საქართველო“, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), USAID, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი და. ა.შ.

პანდემიის პერიოდში, ქამრანისა და არიზის ინიციატივით, ახალგაზრდებმა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნეს ქართული და სხვა ხალხთა ზღაპრები. ახალგაზრდების ნაწილი თარგმანით დაკავდა, ნაწილმა კი ზღაპრის სიუჟეტების ჩანახატები გააკეთა, გაახმოვანა, დაამონტაჟა და ქართული სუბტიტრებიც განათავსა. დღეისათვის სულ ხუთი ზღაპარია დასრულებული და „ახალი აზროვნების ინსტიტუტის“ ფეისბუქგვერდზეა ატვირთული.

„პანდემიის პერიოდში ქართული და სხვა ხალხთა ზღაპრები ვთარგმნეთ და გავახმოვანეთ აზერბაიჯანულ ენაზე. ამჟამად, ვმუშაობთ ქართულ ხალხურ ზღაპარზე „არა იპარო“. გარდა ზღაპრებისა, მოთხრობებსაც ვთარგმნით, უკვე ვასრულებთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობას „ხაზარულა“. მალე ამ მოთხრობისთვის გამოვაცხადებთ ნახატების მიღებას. საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია, ელექტრონული ფოსტით გამოგვიგზავნოს ნახატები, რომლებსაც გავახმოვანებთ და დავამონტაჟებთ. ასევე, გავახმოვანეთ აზერბაიჯანული ხალხური ზღაპრები. მოსწავლეების მიერ დახატული ზღაპრის სიუჟეტებით ვიდეობი მოვამზადეთ, ქართული ტიტრებით. მოსწავლეები ამ ინიციატივაში აქტიურად ჩაერთნენ, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო დისტანციურად მუშაობდნენ, გულმოდგინედ და დიდი ხალისით შეუდგნენ ხატვას, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. ბავშვები, რომლებსაც კითხვა ნაკლებად უყვართ, დიდი ენთუზიაზმით აკეთებდნენ ზღაპრის სიუჟეტებს.

სამომავლოდ, ჩვენი ორგანიზაციის სახელით, ძალიან ბევრ აქტივობას ვგეგმავთ. პირველ რიგში, სათემო-საგანმანათლებლო ცენტრების გაზრდას. გვინდა, განვვითარდეთ როგორც პერსონალურად, ისე პროფესიულად, რათა უფრო მეტად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს – საქართველოს“.

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

რჩევები მშობლებს



თუ ხედავთ, რომ თქვენი შვილი ბულინგის მსხვერპლია, აუცილებელია იცოდეთ, ამ დროს, როგორ მიუდგეთ მას სწორად. ბევრმა მშობელმა არ იცის, რომ შვილი ბულინგის მსვერპლი ან მჩაგვრელია.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას,როგორ დაიწყოთ საუბარი ბავშვებთან ბულინგის შესახებ. მანამდე კი, უმჯობესია გაეცნოთ ძირითად განსაზღვრებებს:

რა არის ბულინგი?

ჩვეულებრივ, ბულინგის იდენტიფიცირება შეგიძლიათ სამი შემდეგი მახასიათებლით, ესენია: განზრახვა, განმეორება(ან მიბაძვა) და ძალა. მჩაგვრელი მიზნად ისახავს ტკივილის მიყენებას, ფიზიკური ტკივილის ან დამაზიანებელი სიტყვების საშუალებით და ამას განმეორებით აკეთებს. ბიჭები, უმეტესად, ფიზიკური ბულინგის მსხვერპლნი არიან, ხოლო გოგოები უფრო მეტად – ფსიქოლოგიური ბულინგის. ბულინგი – ეს უფრო ზოგადი ქცევის ნიმუშია, ვიდრე ერთი განცალკევებული ინციდენტი. ბავშვები, რომლებიც მჩაგვრელები ხდებიან, უმეტესად, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან ან გამოირჩევიან სხვაგვარი უპირატესობით, როგორიც არის, მაგალითად, სიძლიერე, პოპულარობა და ა.შ.

ყველაზე დაუცველი ბავშვები ბულინგის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან. ისინი, ძირითადად, მარგინალიზებული საზოგადოების ნაწილი არიან ღარიბი ოჯახებიდან, ასევე ბავშვები განსხვავებული გენდერული იდენტობით, ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით ან მიგრანტი და ტოლვილი ბავშვები.

ბულინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ. კიბერბულინგი ხშირად თავს იჩენს სოციალურ მედიაში, სმს/მმს ტექსტურ შეტყობინებებში ან ელექტრონული ფოსტის შეტყობინებებში, ასევე, ნებისმიერ ონლაინ პლატფორმაში, რომელსაც ბავშვები კომუნიკაციისთვის იყენებენ, რადგან მშობლები ყოველთვის არ აკვირდებიან შვილებს, რას აკეთებენ ისინი თავიანთ ონლაინ პლატფორმებზე, ამიტომ რთულია, გაიგო როდის არის შენი შვილი რაიმე ზეგავლენის მსხვერპლი.

რატომ უნდა ჩავერიო, თუ ჩემს შვილს ჩაგრავენ? ბულინგს შესაძლოა, ჰქონდეს დამაზიანებელი და ხანგრძლივი შედეგები ბავშვებისთვის. ისინი შეიძლება მივიდნენ როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებამდე, მათ შორისაა დეპრესია და ანორექსია. ბულინგისაგან განსხვავებით, კიბერბულინგი პირისპირ სწვდება ადამიანს ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს და სერიოზულ ზიანს აყენებს, რადგან ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის, კვალს ტოვებს ონლაინ პლატფორმებში, რომელსაც ყველა იყენებს.

თქვენს შვილს აქვს უფლება, ჰქონდეს ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც პატივს სცემს მის ღირსებას. ბავშვთა უფლებების კონვენციით განსაზღვრულია, რომ ბავშვებს აქვთ განათლების მიღების უფლება, ასევე უფლება დაცული იყვნენ ყველა ფორმის ფიზიკური თუ მენტალური ძალადობისაგან, ყოველგვარი ჩაგვრისგან. ბულინგი არ არის გამონაკლისი.

დავიწყოთ პრევენციით

როგორ შემიძლია აღმოვფხვრა ბულინგი ჩემი შვილის სკოლაში?

პირველი ნაბიჯი იმისთვის, რომ დარწმუნდეთ თქვენი შვილი დაცულია როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ ბულინგისგან, დარწმუნდით, რომ მისთვის ცნობილია შემდეგი საკითხები.

1. ასწავლეთ ბავშვებს ბულინგის შესახებ

თუ თქვენმა შვილმა იცის რას ნიშნავს ბულინგი, ის უფრო მარტივად შეძლებს ბულინგის ფაქტის იდენტიფიცირებას, თუ ასეთი რამ მას ან ვინმეს შეემთხვევა.

2. ესაუბრეთ ღიად და ხშირად თქვენს შვილებს

რაც უფრო ბევრს ესაუბრებით ბულინგის შესახებ, უფრო კომფორტულად იგრძნობენ ისინი თავს და მოუნდებათ მოგიყვნენ, თუ ხედავენ მსგავს ფაქტს ან თავად გამოსცადეს ჩაგვრა. ყოველდღიურად შეამოწმეთ შვილები და ჰკითხეთ მათ, რა ხდებოდა სკოლაში და როგორ მიდის მათი აქტივობა ონლაინ, დაინტერესდით არა მხოლოდ მათი აქტივობებით, ასევე მათი გრძნობებითაც.

3. დაეხმარეთ შვილს, გახდეს დადებითი როლური მოდელი

ბულინგის სამი მხარე არსებობს, ესენია: მსხვერპლი, დამნაშავე და შემსრულებელი. თუ ბავშვები არ არიან ბულინგის მსხვერპლნი, მათ შეუძლიათ ბულინგი იმით აღმოფხვრან, რომ პატივისცემით იყვნენ განმსჭვალული თანაკლასელებისა და მეგობრების მიმართ. თუ ისინი შეესწრებიან ბულინგს, შეუძლიათ დაიცვან მსხვერპლი და ჰკითხონ მჩაგვრელს, ასე რატომ იქცევა.

4. დაეხმარეთ ბავშვებს, იყვნენ საკუთარ თავში დაჯერებულები

გაამხნევეთ შვილები, შეუერთდნენ იმ საკლასო თუ საზოგადოებრივ აქტივობებს, რომლებიც მოსწონთ. ეს გაზრდის მათ საკუთარ თავში დაჯერებულობას ისევე, როგორც იმ ადამიანების წრეს, რომლებთანაც მათ საერთო ინტერესები ექნებათ.

5. იყავი როლური მოდელი

აჩვენეთ შვილებს, როგორ მოეპყრონ სხვა ბავშვებსა და მოზარდებს პატივისცემით. აჩვენეთ ეს თქვენი პირადი მაგალითით, რადგან საუბარზე უკეთესად, ის თქვენს ქცევას გაიგებს და დააკვირდება. ბავშვები მშობლებისგან იღებენ მაგალითებს, როგორ მოიქცნენ, მათ შორის იმასაც, რა დაპოსტონ ონლაინ სივრცეში.

6. იყავი მისი ონლაინ გამოცდილების ნაწილი

გაეცანით იმ ონლაინ პლატფორმებს, რომლებსაც თქვენი შვილი იყენებს, აუხსენით მას როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ონლაინ და ოფლაინ სივრცე, გააფრთხილეთ იმ განსხვავებული რისკების შესახებ, რომელსაც ის შესაძლოა შეხვდეს ონლაინ.

თუ გვაქვს ეჭვი, რომ ბავშვი ბულინგის შესაძლო მსხვერპლია, რა ნიშნები უნდა ვეძებოთ?

✓ ახლოდან და ყურადღებით დააკვირდით მის ემოციურ მდგომარეობას, რადგან ზოგიერთი ბავშვი სიტყვიერად არ გამოხატავს ემოციებს.

✓ დააკვირდით ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა:

✓ აუხსნელი სისხლჩაქცევები, ნაკაწრები, მოტეხილობები, ჭრილობები;

✓ სკოლაში წასვლის ან სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის შიში;

✓ დააკვირდით, გაბრაზებული ხომ არ არის, ანერვიულებული ან ზედმეტად ხომ არ ფხიზლობს;

✓ თუ მას ცოტა მეგობრები ჰყავს სკოლაში ან სკოლის გარეთ;

✓ თუ კარგავს მეგობრებს ან თავს არიდებს სოციალურ სიტუაციებს;

✓ თუ ტანსაცმელი ან სხვა პირადი ნივთები ეკარგება და უნადგურდება;

✓ თუ ხშირად ითხოვს ფულს;

✓ თუ დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს;

✓ თუ ცდილობს, სკოლას თავი აარიდოს და მოზრდილებთან ყოფნას ამჯობინებს;

✓ თუ ღამით კარგად არ სძინავს და ღამის კოშმარები აწუხებს;

✓ თუ უჩივის თავის, მუცლის ან სხვა ტკივილებს;

✓ თუ რეგულარულად დათრგუნულია, ონლაინ სივრცეში დროის გატარების ან ტელეფონის გამოყენების შემდეგ;

✓ თუ გახდა უჩვეულოდ ჩაკეტილი;

✓ გახდა აგრესიული ან გამოხატავს გაბრაზებას.

ესაუბრეთ შვილებს ღიად, მათ შორის ჰკითხეთ, მათი აზრით, რა არის კარგი და ცუდი ქცევა სკოლაში, საზოგადოებაში და ონლაინ სივრცეში. ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვთან ღია კომუნიკაცია გქონდეთ, რადგან ის ამით თავს კომფორტულად იგრძნობს და მოგიყვებათ რა ხდება მის ცხოვრებაში.

რა უნდა გავაკეთო, თუ ჩემი შვილი ბულინგის მსხვერპლია ან მას ემუქრებიან?

თუ თქვენ იცით, რომ თქვენი შვილი ბულინგის მსხვერპლია, გთავაზობთ რამდენიმე ნაბიჯს მის დასახმარებლად:

1. მოუსმინეთ შვილს ღიად და მშვიდად

ფოკუსირება გააკეთეთ იმაზე, რომ მან იგრძნოს, რომ უსმენთ და მხარს უჭერთ და არც ერთ შემთხვევაში არ დაიწყოთ მიზეზების ძიება, რატომ გახდა ის ბულინგის მსხვერპლი, ასევე, არ ეცადოთ პრობლემის გადაჭრას. დარწმუნდით, რომ მან იცის, რომ ეს მისი ბრალი არ არის.

2. უთხარით ბავშვს, რომ თქვენ მისი გჯერათ

აგრძნობინეთ, რომ მოხარული ხართ, ბულინგის შესახებ რომ გიამბოთ. უთხარით, რომ რაც ხდება, ეს მისი ბრალი არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ, რაც შეგიძლიათ იმისათვის, რომ მის გვერდით იყოთ.

3.ესაუბრეთ მასწავლებელს ან სკოლის დირექციას

თქვენ და თქვენი შვილი ბულინგს მარტო არ უნდა გაუმკლავდეთ. ჰკითხეთ სკოლის დირექციას, პედაგოგიურ კოლექტივს, თუ აქვთ შემუშავებული ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკა სკოლაში. ეს უნდა მოიცავდეს როგორც პირისპირ ბულინგს, ასევე ბულინგს ონლაინ სივრცეში.

4. იყავით მხარდამჭერი სისტემა

თქვენი შვილისთვის მშობლის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, დარწმუნდით, რომ მას შეუძლია თქვენთან ლაპარაკი ნებისმიერ დროს და დაარწმუნეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენი შვილი სხვებს ჩაგრავს?

თუ თქვენ ფიქრობთ ან იცით, რომ თქვენი შვილი სხვებს ჩაგრავს, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ის არ დაიბადა ცუდ ადამიანად, მასაც შესაძლოა ჰქონდეს ბევრი მიზეზი, რატომაც იქცევა ასე. ბავშვები, რომლებიც ჩაგვრას მიმართავენ, ხშირად თავად ცდილობენ მოერგონ სიტუაციას, მიიქციონ ყურადღება ან განიცადონ რთული ემოციები. ზოგიერთ შემთხვევაში, თავად მჩაგვრელია მსხვერპლი ან ძალადობის მოწმე, სახლში თუ საზოგადოებაში. გთავაზობთ რამდენიმე ნაბიჯს იმისათვის, რომ შეაჩეროთ თქვენი შვილის ბულინგი:

1. ესაუბრეთ მას, გაიგეთ რატომ იქცევა ასე. თუ უჭირს საკუთარი ქცევის ახსნა, შეგიძლიათ მიმართოთ სოციალურ მუშაკს, ფსიქოლოგს ან მრჩეველს, რომელიც სპეციალიზებულია ბავშვთა საკითხებში.

2. ეცადეთ თქვენ შვილს თავი იმ ადამიანის ადგილას წარმოადგენინოთ, ვისაც ჩაგრავს და მიეცით საშუალება აგიხსნათ, რატომ აკეთებს ამას. ასევე აუხსენით, რომ ონლაინ სივრცეში გაკეთებული კომენტარები რეალურ ადამიანებს რეალურ ზიანს აყენებს.

3. ბავშვები, რომლებიც სხვას ჩაგრავენ, ხშირად იმეორებენ იმას, რასაც სახლში უყურებენ. დაფიქრდით, ხომ არ ყოფილა ის, ოდესმე, ძალადობრივ მოპყრობას დაქვემდებარებული და ეცადეთ, გახდეთ მისთვის როლური მოდელი.

4. თუ დარწმუნდებით,რომ თქვენი შვილი მჩაგვრელია, მნიშვნელოვანია მას შესთავაზოთ სწორი, შესაფერისი და არაძალადობრივი ალტერნატივები ადამიანებთან ურთიერთობაში. ეცადეთ მიახვედროთ, რომ ბოდიში მოუხადოს თანატოლებს და მომავალში მეტად ტოლერანტული იყოს მათ მიმართ.

და რაც მთავარია, გახსოვდეთ, რომ თქვენ მარტო არ ხართ ამ პრობლემის წინაშე, შეგიძლიათ დახმარებისთვის მიმართოთ სკოლას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ადგილობრივ ლიდერებს იმისათვის, რომ მიიღოთ ზომები ბულინგის პრევენციისათვის.

https://www.unicef.org/end-violence/how-talk-your-children-about-bullying?fbclid=IwAR0PtpjKT4xZwhUPzBOI6mdN-cIrEh-k9y0hsEtxmuu1kgpeefRYxAQKQ7M

მოამზადა მარიამ მხეიძემ

პროფესიით ჟურნალისტის, გვანცა თვარაძის ინიციატივით, ახალი სოციალური ფოტოპროექტის – „მასწავლებლის ისტორია ფოტოგრაფის დღიურიდან“, განხორციელება დაიწყო.

პროექტი, საქართველოში ერთ-ერთ არაპოპულარულ – მასწავლებლის პროფესიას ეხება. პროექტის მონაწილეები ის მასწავლებლები არიან, რომლებმაც გადაწყვიტეს, მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში ასწავლონ. უმეტესობამ დატოვა ქალაქის სკოლები და უფრო რთული, თუმცა საინტერესო გზად, კარიერის გასაგრძელებლად, რეგიონის სკოლები მიიჩნია, სადაც გავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ განათლების მაღალი ხარისხი და კვალიფიციური პედაგოგები.

მაღალმთიან რეგიონებში მკაცრ კლიმატურ პირობებთან შეგუება არც ისე მარტივია. სოფლის მასწავლებლებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება და მუშაობა. ზამთარში, დიდთოვლობის გამო, ხშირად ჩაკეტილ გზაზე გადაადგილება მხოლოდ ფეხითაა შესაძლებელი, სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეფერხებით მოძრაობს, საცხოვრებელი პირობები საკმაოდ მძიმეა, მასწავლებელს კი იმ მცირე რესურსით უწევს მუშაობა, რასაც განათლების სისტემა სთავაზობს.

როგორც გვანცა ამბობს, ფოტოკადრებად რეალობის ასახვა თემის აქტუალობიდან გამომდინარე გადაწყვიტა, რადგან რეგიონებში და არა მარტო იქ, განათლების თემა საკმაოდ სერიოზულ გამოწვევად რჩება. „მაღალმთიან სოფლის სკოლაში სამუშაოდ წასულ მასწავლებელს ყველასგან განსხვავებული, საკუთარი ისტორია აქვს. ჩემთვის, და ვფიქრობ, საზოგადოებისთვისაც, საინტერესოა მათი დანახვა არა მარტო პროფესიული, არამედ ყოველდღიური რაკურსითაც. პროექტის საშუალებით წარმოვაჩენ არა მხოლოდ მათ ვიზუალურ მხარეს და ყოველდღიურობას, არამედ ტექსტური ისტორიებით, მცირე ჩანახატებით თითოეულ მასწავლებელზე მოგითხრობთ“. დღეს გვანცა ჩვენი სტუმარია და პროექტის შესახებ უფრო დაწვრილებით გვიამბობს.

✓ პირველ რიგში, გაგვეცანი... როგორც ვიცი, პროფესიით ჟურნალისტი ხარ. როდის დაინტერესდი ფოტოგრაფიით?

➪ ფოტოგრაფიით ბავშვობიდან დავინტერესდი, ჩემს მეზობელს ჰქონდა ძველი, საბჭოთა ფოტოკამერა და თავად ამჟღავნებდა ფირებს. მოგეხსენებათ, როგორი პოპულარული იყო ეს მეთოდი 80-იან წლებში. ყოველთვის მაინტერესებდა პროცესი და მომწონდა ქაღალდზე აღბეჭდილი სახეები, რაც მისტიკას, ჯადოქრობას ჰგავდა ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში.

ჩემი პირველი სტატიის ჰონორარით, მშრალ ხიდზე, ძველი ფირის კამერა შევიძინე და ასე დაიწყო ახალი აღმოჩენების პერიოდი. რამდენიმე წლის შემდეგ, მივხვდი, რომ არ მყოფნიდა კამერის შესაძლებლობები და ცოდნა, ამიტომ დავიწყე ფოტოსკოლის ძებნა, სადაც თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას მივიღებდი. ასე აღმოვაჩინე იური მეჩითოვის და მაიკო დეისაძის ფოტოსახელოსნო, სადაც ფოტოგრაფიის შესახებ ჩემი შეხედულებები სრულიად შეიცვალა და სხვა რაკურსით დავიწყე ამ პროფესიაზე ფიქრი. ფოტოსკოლის დასრულების შემდეგ კი, უკვე ვთანამშრომლობ სხვადასხვა კერძო კომპანიასთან და მედიასაშუალებასთან.

✓ ფოტოგრაფიაში კადრი რეალობას ასახავს. დამეთანხმები, ხშირად, რეალობაზე მეტად შთამბეჭდავი ფოტოკადრია. რა არის შენი ფოტოების მთავარი თემა და შენი სათქმელი?

➪ გააჩნია ჟანრს. ფოტოგრაფია აქვს უნარი, ერთი შეხედვით არარეალური, წარმოსახვითი სამყაროს ნაწილიც გაგვხადოს, წარმოდგენა შეგვიცვალოს და სხვა კუთხით დაგვანახოს უკვე ნაცნობი ობიექტი. ჩემთვის გადაღება ემოციის გამოხატვაა, დიალოგი საკუთარ თავთან და სამყაროსთან, თემატიკაც იცვლება იმის მიხედვით, როგორ გარემოშიც ვიმყოფები.

✓ ფოტოებში ხშირად შავ-თეთრ კადრებს იყენებ. ძირითადად, რის გადასაღებად?

➪ ემოციის გასამძაფრებლად ან სხვადასხვა ობიექტების ხაზგასმის მიზნით, ვიყენებ შავ-თეთრ ფოტოს, ფოკუსის გადასატანად ობიექტზე.

✓ ერთი კადრი, რომელიც განსაკუთრებულია ან გამორჩეულად ემოციური შენთვის, მოგვიყევი მისი ისტორია

➪ ვფიქრობ, მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოები მაძლევს სიახლის დანახვის და შეგრძნების საშუალებას, ერთგვარი აღმოჩენების დროა ხოლმე. ამ მხრივ, ჩემთვის, ამერიკა იყო განსაკუთრებით საინტერესო და ვფიქრობ, გამიმართლა, როცა გრანდ სენტრალ სთეიშენზე ცნობილი კლასიკური ქუჩის ფოტოგრაფი ლუის მენდესი გადავიღე. ის, დღესაც, ვინტაჟური ძველი კამერებით იღებს გამვლელებს და ესაა მისთვის შემოსავლის წყარო.

✓ გვიამბე შენი ახალი პროექტის „მასწავლებლის ისტორია ფოტოგრაფის დღიურიდან“ შესახებ, რა გახდა ამ ფოტოპროექტის ინსპირაციის წყარო?

➪ სოციალურ ქსელში გვერდი „ფოტოგრაფის დღიური“ საკუთარი ფოტოების და მათი ისტორიების მოსათხრობად შევქმენი, ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისთვის. პირველი პროექტი, რომელიც განვათავსე, რეგიონში სამუშაოდ წასულ მასწავლებლებს ეხება, რომლებმაც თავიანთი კარიერის სოფლად გაგრძელება გადაწყვიტეს. პროექტის ინსპირაციის წყარო იყო ჩემი მეგობარი, რომელმაც სოფლის სკოლაში სწავლების გადაწყვეტილება მიიღო. ჩემი აზრით, მათი მხარდაჭერა, ხაზგასმა იმისა, რომ ისინი საჭირონი არიან საზოგადოებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში განათლება ყბადაღებული თემაა ქვეყანაში, ყველამ ვიცით, რომ პრობლემები ნამდვილად ბევრია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სამაგალითოდ ცდილობენ, თავიანთ პროფესიას და ქვეყანას ემსახურონ, იცხოვრონ და განვითარდნენ გარემოში, სადაც მათი საჭიროება დგას.

✓ რა არის პროექტის მიზანი, რამდენი მასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას და რომელი რაიონებიდან?

➪ ჩემი მიზანია, ეს ადამიანები საზოგადოებას გავაცნო, წავახალისო და სტიმული მივცე. კრიტიკა ისედაც ბევრი ისმინეს, დამსახურებულად და დაუმსახურებლად. ვფიქრობ, დროა, ყველამ რეალურად შევაფასოთ და დადებითი მხრიდან შევხედოთ მასწავლებლის პროფესიას. ფოტოკადრებით მოთხრობილი ისტორიებით ყველას შეეძლება ნახოს ამ ადამიანების ყოველდღიურობა, მათი ყოფა, რა გამოწვევების წინაშე დგანან, რა მიზნები აქვთ, მათი თვალით დაინახონ ის გარემო, სადაც ისინი სირთულეებს უმკლავდებიან. მარტში დაგეგმილი იყო რამდენიმე მაღალმთიანი რეგიონის მასწავლებლების გადაღება, ჯამში, 15-მდე მასწავლებლის ფოტოამბავი მოიყრის თავს, თუმცა, ამ ეტაპზე, კოვიდ-19-მა სრულად შეგვაცვლევინა გეგმები, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სხვა დეტალებზე საუბარი მიჭირს. ჩემი ინტერესის სფეროა, ძირითადად, მაღალმთიანი რეგიონები. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.



✓ ვინ არის პროექტის პირველი მონაწილე, როგორია ფოტოგრაფის თვალით დანახული ერთი სოფლის სკოლის ისტორია და მასწავლებლის ყოველდღიურობა?

➪ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, პროექტისთვის მხოლოდ ერთი მასწავლებლის გადაღება მოვასწარი, გადადებული სასწავლო პროცესის გამო. ეს არის ქართულის მასწავლებელი ფიქრია ხაჩიძე – 34 წლის, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილეა. ფიქრია, საზღვრისპირა რეგიონში, საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლაში ქართულ ენას ასწავლის. პირველ რიგში, ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რამ განაპირობა ახალგაზრდა ქალის რეგიონში სამუშაოდ წასვლა. მე ვცხოვრობდი მასთან ერთად, რადგან მინდოდა მისი პირადი სივრცე მენახა და ფოტოებით გადმომეცა. ფიქრია ის ადამიანია, რომელსაც უყვარს თავისი პროფესია. გამაოცა გაკვეთილის მომზადების პროცესმა, თუ როგორ გეგმავს მომდევნო დღისთვის, როგორ ამუშავებს საკითხებს, ადგენს ტესტებს, წიგნებსა და ინტერნეტში ეძებს დამატებით რესურსებს და ამ ყველაფერს სჭირდება შრომა, ენერგია და რაც მთავარია, ძალიან დიდი დრო. რეალურად, სხვა არაფრის დრო არ გრჩება. ასე ავითარებს ფიქრია თავის გამოცდილებას და იმკვიდრებს თავს პროფესიაში.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი მაღალმთიანი არ არის, პირობები საკმაოდ რთულია. თავად სკოლის შენობა ჩემთვის საინტერესო იყო, თავისი ძველი ინვენტარით, მაგრამ ყოველდღიურად არაკომფორტულ გარემოში ყოფნა არც მოსწავლისთვის და არც მასწავლებლისთვის სახარბიელო ნამდვილად არ არის. გამაკვირვა ფაქტმა, რომ ზამთარში შენობის გათბობა ჯერ კიდევ შეშის ღუმელით ხდება, რადგან სოფელს არ მიეწოდება გაზი. სასკოლო ინვენტარი, რომელიც სკოლაშია შემორჩენილი, საბჭოთა ეპოქის დროინდელია, ძველი რუსული წარწერები და პლაკატები კვლავ „ამშვენებს“ საკლასო ოთახის კედლებს, თუმცა, სხვა არჩევანი არ არის. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა ქალაქისა და რეგიონის სკოლებს შორის. სათანადო პირობებს რეგიონისთვის ორმაგად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი აზრით, განსაკუთრებით ამ სიტუაციაში, ისედაც ჩაკეტილ გარემოში, რთულია, ბავშვს მსგავს პირობებში ასწავლო და დაინტერესო. სკოლაში, მასწავლებლის მიმართ, ყველა დადებითადაა განწყობილი. ის არის სინათლე და მისი სახით სიახლე შედის სკოლის ცხოვრებაში, რასაც მოსწავლეების განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

✓ პროექტის ფარგლებში, რა აქტივობების განხორციელებას გეგმავ?

➪ სამომავლოდ, მინდა პროექტის ფარგლებში გადაღებული სურათები საგამოფენო სივრცეში მოხვდეს, ჰყავდეს ბევრი დამთვალიერებელი და საზოგადოების ყურადღება მიიპყროს, ამ ყველაფერმა დადებითი გავლენა იქონიოს რეგიონის მასწავლებლების და მოსწავლეების ცხოვრებაზე.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.